


სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“


აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ



ნოე ქაშიბაძე

11.03.2013 წელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის
ფინანსური აუდიტის ანგარიში 2/129
(01.01.2012 - 01.01.2013)



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
ფინანსური ანგარიშგებები	
საბალანსო ანგარიშგება	5
ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	6
ფინანსური ანგარიშგებების განმარტებები	
1. ძირითადი საქმიანობა	7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები	7
3. საბალანსო ანგარიშგება	8
4. ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება	11
5. სხვა განმარტებები	13



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც მოიცავს საბალანსო ანგარიშგებას 2012 წლის 31 დეკემბრისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებისა და ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.



უპირობომოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი 2012 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის ფინანსური ანგარიშგება მთლიანად მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრისათვის.

მნიშვნელოვანი საკითხის ხაზგასმა:

გვინდა თქვენი ყურადღება მივაპყროთ შემდეგს:

- ბიუჯეტის ბალანსის აღრიცხვის უტყუარობის სრულად დაცვის მიზნით, არაფინანსური აქტივების დანაკლისის თანხები (9,625.30ლარი) უნდა აღირიცხოს ანგარიშზე 1440 – „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“ და ამავე თანხით უნდა შემცირდეს რეალურად არსებული მანქანა-დანადგარების და ინვენტარის მუხლის მაჩვენებელი.

საბალანსო ანგარიშგება

(ლარი)

დასახელება	განმარტება	31/12/2011	31/12/2012
აქტივები			
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები			
ანგარიშვალდებული პირების მიმართ	3.1	3,293	1,587
მოთხოვნები			
სხვა დანაჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	3.1	4,619	
II. არაფინანსური აქტივები	3.2		
სხვა მატერიალური მარაგები		0	0
შენობა-ნაგებობები	3.2.1	5,684	906,841
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	3.2.2	135,615	142,017
სხვა ძირითადი აქტივები		600	600
ბალანსი		149,811	1,051,895
ვალდებულებები და კაპიტალი			
I. ვალდებულებები		0	0
II. კაპიტალი			
წმინდა ღირებულება		149,811	1,051,045
ბალანსი		149,811	1,051,895
III. საცნობარო მუხლები:			
გადახდისუნარო დებიტორების ჩამოწერილი	3.1	0	7,409
დავალიანება (03)			
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები		22,028	3,131
ექსპლუატაციაში (04)			
ამორტიზებული ძირითადი აქტივები (08)		12,975	10,417
ვადაგადაცილებული დავალიანებები (09)		982	982
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი		0	29,943
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები			

აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოფინანსური ანგარიშგებების განმარტებები

ანგარიშიხარჯებისეკონომიკურიკლასიფიკაციისშესახებ

(ლარი)

ეკონომიკური კლასიფიკაციის ჩამონათვალი	განმარტებები	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტ. გეგმა	საკასო ხარჯი	ფაქტიურიხარჯი	სხვაობა (6-5)
1	2	3	4	5	6	7
სულ ასიგნება (I+II)		1,513,030	1,552,378	1,527,709	1,574,661	47,802
I. ხარჯები		1,470,230	1,510,328	1,485,659	1,532,611	47,802
მათ შორის:						
1. შრომისანაზღაურება	4.1	1,225,150	1,276,398	1,276,398	1,276,398	
1.1 თანამდებობრივი სარგო		1,122,600	1,122,219	1,122,219	1,122,219	
1.2 პრემია		93,550	145,179	145,179	145,179	
1.3 დანამატი		9,000	9,000	9,000	9,000	
2. საქონელიდამომსახურება	4.2	245,080	233,930	209,261	215,432	6,171
2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		48,600	53,628	53,628	53,628	
2.2 მივლინებები		30,000	28,500	19,897	21,603	1,707
2.3 ოფისის ხარჯები		85,380	72,068	57,873	57,873	
2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები		3,600	3,850	2,884	2,884	
2.5 რბილი ინვენტარი და უნიფორმა		0	990	990	990	
2.6 ტრანსპორტისა და ტექნიკის ქსპლ. და მოვლა-შენახვა		71,000	70,569	70,567	75,032	4,464
2.7 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		6,500	4,325	3,422	3,422	
3. ძირითადი კაპიტალის მოხმარება		0	0	0	41,631	41,631
II. არაფინანსური აქტივები		42,800	42,050	42,050	42,050	
4. ძირითადი აქტივები		42,800	42,050	42,050	42,050	
4.1 სატრანსპორტო საშუალებები		33,000	33,000	33,000	33,000	
4.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		9,800	9,050	9,050	9,050	



1. ძირითადი საქმიანობა

აპარატი საქმიანობას წარმართავდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 ივნისის N14 განკარგულებით დამტკიცებული დებულებით;

აპარატის დაფინანსების წყაროა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი. მას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ხარჯთა ნუსხა და ანგარიშსწორების ანგარიში აფხაზეთის ხაზინაში.

აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

- აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებული პროცესების ანალიტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი;
- აღმასრულებელ სტრუქტურებთან და არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობების საორგანიზაციო დეპარტამენტი;
- საქმის წარმოების, იურიდიულ და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი;
- პროტოკოლისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დეპარტამენტი;
- სახელმწიფო შეყიდვების, საკომუნიკაციო და სატრანსპორტო უზრუნველყოფის დეპარტამენტი;
- საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშსწორების სამსახური;
- შიდა აუდიტის სამსახური.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებულია:

ა) საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;

ბ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრულიაღრიცხვისშესახებ“;

გ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია“;

დ) ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება.



3. საბალანსო ანგარიშგება

3.1 ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები, სხვა დანაჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები და გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება

უმაღლესი საბჭოს აპარატის მიერ კვლავ არ იყო სრულად შესრულებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონტროლოს პალატის პრეზიდიუმის 2005 წლის 2 თებერვლის N1/1 დადგენილებით და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 2005 წლის 22 მარტის დადგენილებებით დაკისრებული ვალდებულებები¹ - ანგარიშვალდებულ პირებზე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში რიცხული ზედმეტად ანაზღაურებული (ავტომანქანის საწვავის და მივლინების) თანხების ბიუჯეტში დაბრუნების თაობაზე:

N	ანგარიშვალდებული პირები	წარმოშობის თარიღი	01.01.2012 წ. რიცხული დავალიანება	2012 წელს დაბრუნებული თანხა	01.01.2013 წ. რიცხული დავალიანება
1	ბალათურიაზურაბი	18/01/2005	1,095.50	-	1,095.50
2	ჩაკვეტამეროინი	18/01/2005	2,003.20	-	2,003.20
3	მანიაოლეგი	18/01/2005	468.00	-	468.00
4	ტაბიძეშოთა	18/01/2005	897.50	-	897.50
5	ჩარკვიანიოთარი	18/01/2005	155.00	155.00	0
7	ომანიძემურმანი	18/01/2005	397.28	-	397.28
8	ბოხუამერაბი	18/01/2005	2,547.06	-	2,547.06
სულ			7,563.54	155	7,408.54

ზემოაღნიშნული დავალიანებები, აფხაზეთის ა.რ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების (08.06.2012 წლის N6-02პ) მოთხოვნათა შესაბამისად, 2012 წლის ბოლოს ჩამოწერილ იქნა ბალანსის მუხლებიდან („ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები“ და „სხვა დანაჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები“) დაადრიცხულ იქნა ბალანსის საცნობარო მუხლში - „გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება“²; პრეზიდიუმის მიერ გადაწყვეტილების მიღების საფუძველად მოყვანილია დებიტორთა სავალალო ფინანსური მდგომარეობა (უმუშევრობა, გადახდისუუნარობა და საქართველოს ფარგლებს გარეთ ყოფა).

¹ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონტროლოს პალატის პრეზიდიუმის 2005 წლის 2 თებერვლის N1/1 დადგენილების და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 22.03.2005 წლის დადგენილების მე-3 და მე-4 პუნქტის მოთხოვნები.

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 43-ე მუხლის მე-4 პუნქტების მოთხოვნა.

3.2 არაფინანსური აქტივები

უმაღლეს საბჭოს 2012 წლის 1 იანვრისათვის საბალანსო მონაცემებით, ერიცხება 141,899 ლარის არაფინანსური აქტივები. აუდიტის პერიოდში ბალანსზე რიცხული ქონება გაიზარდა 907,560 ლარით და 2013 წლის 1 იანვრისათვის ძირითადი აქტივების საბალანსო (ნარჩენმა) ღირებულებამ შეადგინა 1,049,458 ლარი, რაც 639.58 %-ით მეტია წლის დასაწყისისათვის არსებულ ნაშთზე (მკვეთრი ზრდის ძირითადი მიზეზი განმარტებულია 3.3-ში).

ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ:

არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისში	მიღება		გასვლა		
		შესყიდვით	იმავე დონის საბელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ	იმავე დონის საბელმწიფო ერთეულებზე უსასყიდლოდ	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	ნაშთი წლის ბოლოს
1. მატერიალური მარაგები	0					0
2. ძირითადი აქტივები	141,899	42,050	914,154	7,013	41,631	1,049,458
2.1 შენობა-ნაგებობები	5,684		914,154	5,684	7,313	906,841
2.2 მანქანა- დანადგარები და ინვენტარი	135,615	42,050		1,330	34,318	142,017
2.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	90,678	33,000		1,330	19,719	102,629
2.2.2 სხვა მანქანა- დანადგარები და ინვენტარი	44,336	9,050			14,598	39,388
2.3 სხვა ძირითადი აქტივები	600					600
არამატერიალური ძირითადი აქტივი	600					600

უმაღლესი საბჭოს მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების, პირველადი საბუთებისა და წარმოდგენილი დოკუმენტების აუდიტით დადგინდა, რომ ძირითადი აქტივების შესყიდვა, უსასყიდლოდ მიღება/გადაცემა, ასევე ჩამოწერა განხორციელებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

3.2.1 შენობა-ნაგებობები

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატის მიერ წინა წლის აუდიტით გამოვლენილი უსასყიდლო სარგებლობაში არსებული აღურიცხავი უძრავი ქონება (ფართი, რომელზეც განთავსებულია აფხაზეთის ა.რ. უმაღლესი საბჭო), შესაბამისი ჯგუფის ღირებულებით ბალანსში ასახვის მიზნით, შეფასებულია

დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ 914,154 ლარად. მის მიერ განსაზღვრული ღირებულებით გაზრდილია რეალურად არსებული არფინანსური აქტივების (შენობა-ნაგებობების) ღირებულება.

3.2.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი

მიმდინარე აუდიტთან დაკავშირებით, აპარატის უფროსის 2012 წლის 11 თებერვლის N19 ბრძანების შესაბამისად ჩატარდა ძირითადი საშუალებების და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია; შედეგად მატერიალური ფასეულობების მეტობა არ გამოვლენილა, ხოლო საინვენტარო აღწერისას წარმოდგენილი არ იყოსულ 9,625.30 ლარის საბალანსო (22,617 ლარის პირველადი) ღირებულებების შემდეგი აქტივები:

- ავტოსატრანსპორტო საშუალება „მერსედესი S-600“ -6,900.50 ლარის საბალანსო (12,501 ლარის პირველადი) ღირებულების; ავტომანქანის გატაცების ფაქტზე აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს 2004 წლის 2 აპრილის N1/1-4/2-24-475 წერილის თანახმად „ავტომანქანა აყვანილია კონტროლზე აფხაზეთის შსს საგზაო პოლიციის სამმართველოში“; თუმცა ეს უკანასკნელი 2004 წლიდან არ ფუნქციონირებს, ხოლო უმაღლეს საბჭოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის საქმეების მსვლელობასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მოპოვების მიზნით არ მიუმართავს.
- ნოუთბუქი (HP550) 184.8 ლარის საბალანსო (926 ლარის პირველადი) ღირებულების - მოპარვის ფაქტთან დაკავშირებით წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს პოლიციის მეორე განყოფილებაში (24.07.2010 წლის N 27/12/4-11/18/2718 წერილი).
- იარაღი 1,202 ლარის პირველადი ღირებულების (ცვეთა არ არის დარიცხული) - უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის ინფორმაციით, აღნიშნული აქტივი კვლავ (აღნიშნული ფაქტი ასახულია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული წინა წლების აუდიტების დროსაც) იმყოფება ყოფილი თავმჯდომარის თ. ნადარეიშვილის ოჯახში. აღნიშნული საკითხის დარეგულირების მიზნით უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 17.12.2004 წელს მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად მოკლელულიანი ცეცხლსასროლი სახელობითი იარაღის-პისტოლეტის (N27-016831) დატოვების შესაძლებლობის საკითხი განხილულ ყოფილიყო საქართველოს შსს სამინისტროს სათანადო დასკვნის შემდგომ. წარმოდგენილია სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ და საქართველოს შსს მიერ გაცემული მოწმობები (შესაბამისად N47610 - გაცემული 10.10.2008 წელს და N IB0102732 - გაცემული 13.09.2011 წელს), რომელთა თანახმად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილ იუსტიციის მინისტრს ვლადიმერ

ნადარეიშვილს (თ. ნადარეიშვილის შვილი) უფლება აქვს შეინახოს და ატაროს არსებული ცეცხლსასროლი იარაღი³.

- ძირითადი აქტივები 1,338.60 ლარის საბალანსო (3,359 ლარის პირველადი) ღირებულების. მათ შორის: 2 ერთეული პერსონალური კომპიუტერი და ერთი ერთეული ლეპტოპი. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სამსახურის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს 06.12.2012 წლის N013/56-3487 წერილის თანახმად, უმაღლესი საბჭოს სამუშაო ოთახებიდან დაკარგულ ნივთებთან დაკავშირებით შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს VII განყოფილებაში დაწყებულია გამოძიება ქურდობის ფაქტზე.

ზემოაღნიშნული დანაკლისის თანხები ბალანსში აღრიცხულია „მანქანა-დანადგარების და ინვენტარი“-ს მუხლში, რაც ვერ უზრუნველყოფს ბიუჯეტის ბალანსის აღრიცხვის უტყუარობას⁴, ვინაიდან არაფინანსური აქტივების დანაკლისის თანხები (9,411.64 ლარი) უნდა აღირიცხოს ანგარიშზე 1440 – „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“ და ამავე თანხით უნდა შემცირდეს რეალურად არსებული მანქანა-დანადგარების და ინვენტარის მუხლის მაჩვენებელი (ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშის ნომრები - 2120; 2121; 2122; საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლები - 6112; 61121; 61122)⁵.

4. ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება


4.1 შრომის ანაზღაურება

ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის ანალიზით გაირკვა, რომ 2012 წელს მთლიანი ხარჯების უდიდესი ნაწილი - 84.83 % შრომის ანაზღაურების მუხლითაა გახარჯული, საიდანაც პრემიების სახით გაცემულია შესაბამისად 14 %, ხოლო დანამატის სახით - 0.7 %.

³ აფხაზეთის ა/რ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 17.12.2004 წლის დადგინილება.

⁴ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები.

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები.



4.2 საქონელი და მომსახურება

საქონელი და მომსახურების მუხლით გაწეული საკასო ხარჯი მთლიანი ხარჯების 14.09 %-ს შეადგენს (209,261 ლარი), საიდანაც:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლით გახარჯულია 53,628 ლარი, რაც საერთო საკასო ხარჯების მიმართ 3.61 %-ს შეადგენს; ხელშეკრულებების საფუძველზე 2012 წლის განმავლობაში დასაქმებული იყო შტატგარეშე 8 მომუშავე. „საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნული ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად; ფაქტობრივად კი წარმოდგენილი ხელშეკრულებების ანალიზით გამოვლინდა, რომ 6 პირი აყვანილია მთელი წლის პერიოდში მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად, კერძოდ უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, ადამიანის უფლებათა დაცვის, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის და უმაღლესი საბჭოს ფრაქციების მოწვეულ სპეციალისტებად⁶. მათზე თვეში ანაზღაურებულია 600-600 ლარი, სულ 45,678 ლარი.

- მივლინების მუხლით გაცემულია 19,897 ლარი, აქედან მივლინება ქვეყნის გარეთ 18,889 ლარი და მივლინება ქვეყნის შიგნით 1,008 ლარი.

- ოფისის ხარჯებზე 57,873 ლარი მოდის, რაც გეგმის (72,068 ლარი) 80.3 %-ს შეადგენს.

- რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯების მუხლით განსაზღვრული 990 ლარი სრულად არის ათვისებული.

- ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების მუხლით გახარჯულია 70,567 ლარი, საიდანაც უმაღლესი საბჭოს ბალანსზე რიცხული 9 ავტომანქანის საწვავ/საპოხი მასალების ხარჯი შეადგენს - 58,533 ლარს; მიმდინარე რემონტის ხარჯი - 5,383 ლარს; ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და

⁶ დარღვეულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნები.

სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი - 6,201 ლარს და სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები - 450 ლარს.

ავტომატური შენახვის ხარჯები (საწვავი, ტექმომსახურება, სარემონტო ხარჯები და სხვა) გაწეულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს თვმჯდომარის მიერ დადგენილი ლიმიტისა და ნორმების ფარგლებში.

- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლით გახარჯულია 3,422 ლარი, რაც გეგმის (4,325) 79.12 %-ს შეადგენს.

5. სხვა განმარტებები

5.1 ფინანსური ანგარიშგების მომზადება

უმაღლეს საბჭოში ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს მემორიალურ ორდერული ფორმით ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით. მოქმედი დებულებით საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის განსაზღვრა და მისი სწორი ორგანიზაცია საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშსწორების სამსახურის ფუნქციაა. აპარატის ბალანსი წარედგინება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს.


სამინისტროს მიერ კვარტალური და წლიური ფინანსური ანგარიშგები (ბალანსები) წარდგენილია დადგენილი წესისა და ვადების დაცვით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2003 წლის 17 ოქტომბრის № 521 და 2008 წლის 16 აპრილის № 364 ბრძანებებით დამტკიცებული საბიუჯეტო ორგანიზაციათა ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების შესაბამისად.

5.2 სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საკითხები


უმაღლესი საბჭოს მიერ 2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 იანვრამდე განხორციელებულ შესყიდვებზე გაფორმებულია 64 ხელშეკრულება, საიდანაც 47 შემთხვევაში ჩატარებულია გამარტივებული შესყიდვა, 6 შემთხვევაში გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, ხოლო 11 შემთხვევაში საწვავის შესყიდვა განხორციელებულია კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის გზით.

2012 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები

(ლარი)



შესყიდვების საშუალება	ხელშეკრულების რაოდენობა	გადახდა
გამარტივებული შესყიდვა	29	56,172
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	6	36,012
კონსოლიდირებული ტენდერი	11	57,006
ჯამი	46	149,190



აუდიტის პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების წლიური და კორექტირებული გეგმები, ასევე მიმდინარე და განხორციელებული შესყიდვების ანგარიშები სააგენტოში წარდგენილია დადგენილი ვადების დაცვით.

ელექტრონული ტენდერები ჩატარებულია აპარატის უფროსის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ სააგენტოსათვის ანგარიშის წარდგენის მიზნით უმაღლესი საბჭოს სისტემაში ატვირთული აქვს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმები, და გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული დოკუმენტები.

სატენდეროდო კუმენტაციები (შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღწერის მიზნით სატენდერო განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაცია) დამტკიცებულია სატენდეროკომისიის მიერ.

გამარტივებული ელექტრონული ტენდერით განხორციელებულია შემდეგი სახელმწიფო შესყიდვები:


№	შესასყიდისაქონლის, მომსახურების, სამუშაოსდასახელება	ტენდერში მონაწილე რაოდენობა	მომწოდებლის დასახელება	მიწოდების თანხა	საკასოზარჯი
1	ავეჯი	4	ი/მ „ლიანა ჭილაია“	7,998	7,998
2	სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	1	შპს „ავტოსერვისცენტრი“	9,800	9,769
3	სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	1	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	720	720
4	ძრავიან სატრანსპორტო საშუალებები	1	შპს „კიამოტორსჯორჯია“	33,000	33,000
5	სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	1	შპს „ავტოსერვისცენტრი“	2,700	2,435
6	კომპიუტერული მოწყობილობები დამარაგი	2	შპს „ალგორითმი“	2,250	2,250
ჯამი:				56,468	56,172

5.3 წინა პერიოდის შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გაწეული საქმიანობა

აპარატში, 2011 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 იანვრამდე პერიოდის ფინანსური აუდიტი ჩატარებულია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატის მიერ, რაზედაც შედგენილია შესაბამისი აქტი. შემოწმების შედეგად დაფიქსირებულია სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები.

აპარატში გარკვეული საქმიანობაა გაწეული ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, თუმცა მათი გარკვეული ნაწილი არ გამოსწორებულა და სხვა ნაკლოვანებებთან ერთად აისახა წინამდებარე აუდიტის ანგარიშში. კერძოდ:

- ✓ ანგარიშვალდებულ პირებზე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში რიცხული დავალიანების ბიუჯეტში დასაბრუნებლად არ არის სრულად გატარებული შესაბამისი ქმედითი ღონისძიებები;




- ✓ შტატგარეშე მოსამსახურეები აყვანილი არიან მთელი წლის პერიოდში მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად;

აპარატს არ შეუმუშავებია ფინანსური მართვისა და კონტროლის საკუთარი სისტემა; კერძოდ, არ განუხორციელებია რისკების განსაზღვრა და შეფასებები; არ განუსაზღვრავს ყველა რისკის მნიშვნელობა, ალბათობა და საპასუხო კონკრეტული კონტროლის მექანიზმების დოკუმენტურად ასახვა⁷.

აუდიტორი:

გიორგი ფრუიძე



აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
კონტროლის პალატა
11 მარტი 2013 წელი
ქ. თბილისი

⁷ „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის; 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის; 22-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების მოთხოვნები.